ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – დაჯარიმდება **1500 ლარის ოდენობით**;

- 20 კგ-მდე ცხოველის სხეულის ნარჩენით (მათ შორის, სასაკლაოდან) გარემოს დანაგვიანება – დაჯარიმდება **500 ლარის ოდენობით**;
- 20 კგ ან 20 კგ-ზე მეტი ცხოველის სხეულის ნარჩენით (მათ შორის, სასაკლაოდან) გარემოს დანაგვიანება – დაჯარიმდება **1000 ლარის ოდენობით**;
- მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების (ფოთლების, ბაღის/პარკის ნარჩენების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების) ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარში დაწვა – დაჯარიმდება **200 ლარის ოდენობით**;
- მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების (გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნარჩენებისა) (მათ შორის, საბურავის, რეზინის და სხვა ელასტომერული მასალის) ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარში დაწვა – დაჯარიმდება **500 ლარის ოდენობით**;
- არასახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისას არასახიფათო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება ან დაბინძურება – დაჯარიმდება **400 ლარის ოდენობით**.

უფრო დეტალურად იხილეთ: „ნარჩენების მართვის კოდექსი“, თავი X „ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება“

პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო – საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმის „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები–საქართველოს“, მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოვიჟენის“ და საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“-ს მიერ, შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან თანამშრომლობით.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული ყველა აქტიობების შესახებ ინფორმაციას მოიპოვებთ ვებ-გვერდზე: www.cleanup.ge

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/
დედამიწის მეგობრები-საქართველო
საქართველო, თბილისი, მუხაძის ქუჩა №16, 0162

ტელ: (+995 32) 2234037
ელ.ფოსტა: info@greens.ge
ვებ-გვერდი: www.greens.ge

Clean Up Georgia
დავასუფთაოთ საქართველო

დავასუფთაოთ საქართველო?!

2015 წელი

ფაზა II

Friends of the Earth International

SWEDEN

საგრძნობლად დავასუფთავეთ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. არანაირი აზრი არა აქვს დასუფთავების აქციების ჩატარებას, თუ თითოეული ადამიანი ყოველდღიურად არ მოუფრთხილდება გარემოს.

- როდესაც ერთი დასუფთავებული ადგილის მაგივრად, იქვე „მოფარებულში“ ჩნდება მეორე სტიქიური ნაგავსაყრელი:
- როდესაც საყოფაცხოვრებო ნარჩენი იყრება მდინარეებში და წყალსაცავებში;
- როდესაც „ვაწკრიალებთ“ სახლს და ნაგავსაყრელს ვაწყობთ ჩვენი ეზოების გარეთ...

ეს რბილად რომ ვთქვათ უპასუხისმგებლობაა თანამოქალაქეების მიმართ.

ნუ დავტოვებთ ჩვენს შემდეგ დანაგვიანებულ გარემოს და ნუ მივცემთ ცუდ მაგალითს შვილებს

ეს არც თუ ისე ძნელია...

მოკლედ: მოვიქცეთ ისე, როგორც ეკადრება ცივილიზებულ და თავის ქვეყანაზე შეყვარებულ ადამიანს.

საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ თავი X

<u>ფიზიკური პირის მიერ:</u>

- 2 კგ-მდე მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – დავჯარიმდება 80 ლარის ოდენობით;
- იგივე ქმედება, ჩადენილი საცხოვრებელი სახლიდან ან სხვა შენობა-ნაგებობიდან, –დავჯარიმდება **100 ლარის ოდენობით**;
- იგივე ქმედება, ჩადენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან, – გამოიწვევს მძღოლის, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემთხვევაში – შესაბამისი დამრღვევის დავჯარიმებას **120 ლარის ოდენობით**;
- 5 ერთეულამდე საბურავით (გარდა ველოსიპედის საბურავისა) გარემოს დანაგვიანება – გამოიწვევს დავჯარიმდება **500 ლარის ოდენობით**;
- 2 კგ-მდე ბატარეის, აკუმულატორის, ელექტრონათურის, ელექტროსაქონლის, გრაფიტის ელექტროდის, ბასრი ან მჩხვლეტავი საგნის (მათ შორის, შუშის ნამსხვრევის, ლურსმნის ან სხვა მსგავსი საგნის) ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – დავჯარიმდება **100 ლარის ოდენობით**;
- 2 კგ ან 2 კგ-ზე მეტი მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – დავჯარიმდება **150 ლარის ოდენობით**;
- 1 $მ^3$-მდე მოცულობის სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – დავჯარიმდება **200 ლარის ოდენობით**;
- 1 $მ^3$ ან 1 $მ^3$-ზე მეტი მოცულობის სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – დავჯარიმდება **500 ლარის ოდენობით**;
- ძაღლის ან სხვა შინაური ცხოველის მცირე ოდენობის ფეკალური მასით ტერიტორიის დაბინძურება – დავჯარიმდება **50 ლარის ოდენობით**;
- 20 კგ-მდე ცხოველის სხეულის ნარჩენით (მათ შორის, სასაკლაოდან) გარემოს დანაგვიანება – დავჯარიმდება **150 ლარის ოდენობით**;
- მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენების (ფოთლების, ბაღის/პარკის ნარჩენების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების) ღია წესით ან არადანიშნულების საწვავ დანადგარში დაწვა – დავჯარიმდება **200 ლარის ოდენობით**.

<u>იურიდიული პირის მიერ:</u>

- 2 კგ ან 2 კგ-ზე მეტი მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – დავჯარიმდება **500 ლარის ოდენობით**;
- 1 $მ^3$-ზე მეტი მოცულობის მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – დავჯარიმდება **1000 ლარის ოდენობით**;
- 1 $მ^3$-მდე მოცულობის სამშენებლო ან სხვა ინერტული ნარჩენით გარემოს დანაგვიანება – დავჯარიმდება **500 ლარის ოდენობით**;
- 1 $მ^3$ ან 1 მ3-ზე მეტი მოცულობის სამშენებლო ან სხვა ინერტული